გაცნობის თარიღი
18.03.2015

გაცემის თარიღი
17.03.2015

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : შპს ერეთელი 401976830

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN1288628

გასაჩივრების წესი : გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1288628

1. სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა #17-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დეკორატიული გაფორმების ობიექტის - საყვავილეების მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით განსაზღვრული ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირობების შესაბამისად, საკითხის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმების შემთხვევაში.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება

დანართი №2

1. სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით ქვეითად მოსიარულეთა ბილიკზე ეტაპობრივად, სამუშაოს წარმოების ადგილი აღიჭურვოს ყვითელი მოციმციმე შუქურათი, შემოიფარგლოს დამცავი ჯებირებით და განთავსდეს საგზაო ნიშნები:
   1.23 – „საგზაო სამუშაოები“ დაცული იქნას ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.
2. სამუშაოების დაწყება წინასწარ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 2418504; 2418505)
3. სამუშაოები განხორციელდეს თანხმობის გაცემიდან 1 (ერთ) თვეში;